მინდობილობა

ქ. თბილისი 30 დეკემბერი, 2020

წინამდებარე მინდობილობით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ორ ავნერ და ჰანა“ (შემდგომში - „მარწმუნებელი“), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომლის საიდენტიფიკაციო კოდია 205195457, წარმოდგენილი მისი დირექტორის, **მეირ აშერი კოზლოვსკის** (ისრაელის მოქალაქე, პირადი ნომერი 0-2661757-1, პირადი #01092002136, დაბადებული 12.01.1980, მცხოვრები საქართველო, თბილისი, გრ. ხანძთელის ქ. N7) მიერ, წინამდებარე მინდობილობით უფლებას ანიჭებს **მერაბი გამყრელიძეს** (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 01017041895, დაბადებული 05.10.1993, მისამართი თბილისი, ვ. კოტეტიშვილის შეს. N3), (შემდგომში „რწმუნებული“)

რათა მან მარწმუნებლის სახელით განახორციელოს ნებისმიერი შემდეგი მოქმედება:

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებელი თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის — თბილისის არქიტექტურის სამსახურის წინაშე და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება მარწმუნებლისთვის კომპანიის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რწმუნებული უფლებამოსილია ნებისმიერ ორგანოში, მათ შორის და არა მხოლოდ, სსიპ არქიტექტურის სამსახურში წარადგინოს/ შეიტანოს/მიიღოს თანხმობა/შეათანხმოს არქიტექტურული ესკიზი, განაშენიანების რეგულირების გეგმა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი (რაც მოიცავს: არქიტექტურულ პროექტს, სამშენებლო პროექტს და/ან ტექნოლოგიურ პროექტს), მონაწილეობა მიიღოს და წარმოადგინოს პოზიცია ნებისმიერ სხდომაზე ან ადმინისტრაციულ წარმოებაში, მონაწილეობა მიიღოს ტენდერში, შესაბამის ორგანოებთან შეათანხმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეათანხმოს/გაზარდოს სამშენებლო კოეფიციენტი, მოითხოვოს და მიიღოს არქიტექტურული ინსტრუქციები და კონსულტაციები. რწმუნებული აგრეთვე უფლებამოსილია ნებისმიერ ორგანოსთან წარადგინოს/ ხელი მოაწეროს/ მოითხოვოს/ მიიღოს/ მოიპოვოს ნებისმიერი განცხადება/ დოკუმენტი/ ხელშეკრულება/ შეთანხმება/ არქიტექტურული პროექტი /არქიტექტურული კონცეფცია და ნებისმიერი სხვა საბუთი, რაც შეიძლება აუცილებელი გახდეს ზემოთ განსაზღვრული დავალებების განსახორციელებლად.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს სათანადო ორგანოებთან არქიტექტურული პროექტის თაობაზე თანხმობის მისაღებად და მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული წინამდებარე მინდობილობით, მაგრამ შეიძლება აუცილებელი გახდეს ზემოთ აღნიშნული დავალებების განსახორციელებლად.

მინდობილობა ძალაშია 2021 წლის 30 დეკემბრამდე.

მარწმუნებელი:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N201062898
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.12.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, სანაპიროს 2ა, #1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599336099
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	11075569415320

საქართველო
ორი ათას ოცი წლის ოცდაათ დეკემბერს, მე, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1-ში მომმართეს მეირ აშერი კოზლოვსკიმ და მთარგმნელმა თორნიკე პარხომენკომ, რომელთაც განაცხადეს, რომ სურთ ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება ორენოვან (ქართულ-ინგლისურ) მიწდობილობაზე. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართეს: მეირ აშერი კოზლოვსკიმ (ისრაელის მოქალაქე; დაბადების თარიღი: 12 იანვარი 1980 წელი; რეგისტრირებული მისამართი: თბილისი გრ.ხანძთელის ქ. N 7, პირადი #010920021 36, ბინადრობის მოწმობის სერია 20PR01711) და მთარგმნელმა თორნიკე პარხომენკომ (დაბადებული 17.02.1992, მცხოვრები: ქ. თბილისი, აწყურის ქუჩა 39, ბარათის ნომერი 11IC00354, პირადი ნომერი: 01011081564 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დიპლომი MH N001116 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ). აღნიშნული მომენტისთვის მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა დავით ჩალათაშვილმა განვუმარტე ხელმომწერ პირებს დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ წაიკითხეს და დაადასტურეს, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. მე, ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი ამ დოკუმენტის დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირებს ეკუთვნით და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე. ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირების მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტი წარმოდგენილია სამ ეგზემპლარად. მეირ აშერი კოზლოვსკის თხოვნით, რწმუნებულების ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მას. გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 24.0 (ოცდაოთხი) ლარი, დღგ 4.32 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა შესაბამისად 2 (ორი) ლარი, სულ 30.32 (ოცდაათი და 32) ლარი.
ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 [illegible] 18